

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
ჩაქოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში; გარეშე  
მცნოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „ДРОБА“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—  
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.  
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ. 4 თვ.—4 მ., 3  
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.



გამოდის ყოველ-ღვინე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე  
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უცხვანკლო გვერ-  
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. რეკლამის სტრიქონი  
ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-  
ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწავლებს და შეამო-  
კვებს დასაბუღებელ გამოცხადებულ წერილებს. დაუბუღებელ წერი-  
ლებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россiи, Царства Польскаго и за-  
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.  
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

გამოვიდა 1-ლი №-რი სა-  
ყოველ-კვირბარ სალიტერატურო  
და მხატვრობითი განხეთის

### თეატრი-სა.

სალამ ნომრები ისეიდება:  
თბილისში:—გრ. ჩარკვიანის წიგ-  
ნის მაღაზიაში; ქუთაისში—მძ.  
ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.  
ფასი ყველგან სამი შაპრი.

### აი სიფთხილე აქ არის საჭირო

თბილისი, ივლისის 24-ს.

აღამიანი ბუნებით ნაზად არის შე-  
ქმნილი. მას არ ემარჯვება არამც თუ  
აღამიანების ხოცვა, ქათმის დაკლვაც  
კი. მხოლოდ გარემომარტყმული სა-  
ზოგადოება აქეზებს მას ხშირად ბო-  
როტებისადმი, ან ცუდის მაგალითის  
ჩვენებით, ან იმისთანა მდგომარეობა-  
ში ჩადგებით, რომელშიაც კაცის ბუ-  
ნება სრულიად იცვლება, პირუტყვე  
დება. შევლამ იცის თუ რა გულ-ცი-  
ვად ეპრობა ყასაბი თავის მსხვერპლს და  
როგორ ადვილია ამ თვადებ-ჩასისხლია-  
ნებულ და ყოველთვის სისხლის სულით  
დამთვრალ არსებისთვის არამც თუ  
პირუტყვისა, აღამიანის ყელის გამოქ-  
რაც. ან ეგ რად გინდათ, როდესაც  
ქალიც კი, რომელიც იმიტომ არის  
შექმნილი, რომ ნაზი ცალი და გულ-  
მტკივნეული დედა იყოს, ხშირად თა-  
ვის ბუნებას გაპირუტყვებს ხოლმე  
და სისხლს მსველ სევადა გარდაიქ-

ცევა. ღვთაების ხელმწიფეს აფრიკა  
ში საუკეთესო ჯარი, საუკეთესო იმით,  
რომ უფრო მეტს სისხლის-მსმელო-  
ბას იჩენს, ქალებისაგან ჰყავს შემდგა-  
რი და მათს ბუნებას იმითი სცვლის,  
რომ ომში ტყვეთ წაყვანილებს და  
დაჭრილებს თავის თვალ-წინ ახო-  
ციენებს.

ეს ცოტა გრძელი ლაპარაკი და შო-  
რეული მაგალითიც იმისათვის დაგე-  
ქირდა, რომ გვეჩვენებინა, თუ რო-  
გორა სცვლის ჩვეულება აღამიანის ბუ-  
ნებას და ერთხელ ძნელი, თან-და-თან  
როგორ ადვილდება, როგორ გაუ-  
ქირვებლად კეთდება. ეს ქეშმარიტე-  
ბა ჩვენ გვინდა შევეუწონოთ ერთს  
იმისთანა მოვლენას, რომელიც პირ-  
ველის შეხედვით სამართლიანა ჰგავს,  
მაგრამ შეიძლება ძალიან ადვილად  
უსამართლოებად გადაიქცეს.

ჩვენ ვამბობთ სოფლის გარდაწყვე-  
ტილებით მანვე პირების გადასახლე-  
ბაზედ.

შინ არ იცის, რომ ეს ღონისძიება  
ხალხს ერთ დროს მეტის-მეტ, უკი-  
დურეს საშუალებად მიაჩნდა და დიდ  
კლდედაც, თუ კი სოფლიდან გან-  
დევნილი უბრალო აღმოჩნდებოდა.  
ამას თავის მიზეზიცა აქვს. ჩვენს კაცს  
ისე უყვარს თავისი მიწა-წყალი, რომ  
მისი მოშორება როგორც თავისთვის,  
ისე სხვისთვის უაღრეს სასჯელად  
მიაჩნია. ამიტომ რომელიმე სოფლი  
საგან პირველად შედგენილი ამისთა-  
ნა განაჩენი ძალის-ძალადობით არის  
გამოწვეული და ის წევრი, რომელ-  
საც სოფელი ასე სასტიკად სდევნის,  
მართლა აუტანელი ავაზაკი უნდა  
იყოს, ან სოფლის თვალში, ან იმ


პირთა თვალში, რომელიც განაჩენს  
ადგენინებენ. მაგრამ რაკი ერთხელ  
ჩნირი გადატყდება და სოჯელი ერთ-  
ერთს წევრს მოიშორებს, მასუკან  
მეორე და მესამის მოშორება გა-  
დვილდება და სხვა და სხვა გავლე-  
ნიან პირებსაც შეძლება მიეცემათ თა-  
ვიანთ გავლენა ბოროტად მოიხმარონ  
და სრულიად უენებელი პირი, ან  
იმისთანა, რომლის ზნეობაც ადვი-  
ლად შინვე გასწორდებოდა, გადასახ-  
ლებინონ. მსეთი მაგალითები მრავა-  
ლია და თუ ამ წერილის სათაურში  
ვამბობთ, რომ ამ საგანში მართლა  
სიფთხილეა საჭირო, ალბად ამის სა-  
ბუთები გვაქვს.

ამ საბუთებს ჯერჯერობით, სხვა-  
და-სხვა მიზეზის გამო, თავი დავანე-  
ბოთ, და მოვიტანოთ აქ შორეული  
მაგალითი, რომელიც ამ დღეებში  
ამოვიკითხეთ:

ძიევის გუბერნიაში რამდენიმე წლის  
წინად ერთს სოფელს, მეტატონის ჩა-  
განებით და ჯილდოს დაპირებით წა-  
ქეზებულს, განაჩენი შეუდგენია და  
ერთი წევრი გადუსახლებინებია. ამ  
გადასახლებას ბოლო მოუღია გადა-  
სახლებულის ოჯახისათვის და რვა  
წერილი შეიღი თითქმის ულუკმა-  
პურად დაჩინებია. ზოგი ამ გარე-  
მობას და ზოგი იმას, რომ მეტატო-  
ნის დანაპირები არ შეუსრულებია,  
სოფელი დაუსენინდისიანებია, შეყრი-  
ლა და განაჩენი დაუდგენია, რომელ  
შიაც სოფლელები გულწრფელად მო-  
გვთხოვრებენ პირველი განაჩენის ამბავს,  
ადვიარებენ თავიანთ დანაშაულს, იმას,  
თუ რა სინილისის ტანჯვა გამოიარეს  
შემდეგ უბრალო კაცის უსამართლოდ

დატანჯვისა და თხოულობენ ხელმეო-  
რედ გადაკარგულის დაბრუნებას.

ძალი ყველგან კაცია, სოფელი ყველ-  
გან სოფელი და ხშირად სხვა ცხოვ-  
რების მიმდინარეობაში ჩენი საკუთა-  
რი ცხოვრება ისე გამოხიანს, როგორც  
სარკეში...



ამ დღეებში თბილისში ჩამო-  
ვიდნენ რუსეთიდან პროფესორი პე-  
ტრბურგის სამხედრო აკადემიისა ბ.  
პუზირევსკი, ბ. ივანოვი, ძავესიის  
ნავთ-სადგურების დასახედავად გამომ-  
გზავრებული და სხვა სამხედრო პირ-  
ნი, რომელთაც აზრად ჩვენის ქვეყ-  
ნის გაცნობა აქეთ.

მთმცა ბერმანიაში უცხო-ქვეყ-  
ნებიდან შეტანილს პურს ბაყ დაადეს  
თავიანთ წარმოების წასაქეზებლად,  
მაგრამ, როგორც ეტყობა, ნემეცური  
პური არა ჰყოფნით ნემეცებს და სხვა  
ქვეყნებიდან უნდა ეზიდონ, რაც აკლ-  
დებათ. ასე გასინჯეთ, ჩვენს ქვეყ-  
ნაშიაც მოსულან აგენტები ერთის  
ბერლინური ფირმისა და ბლომად ჰყი-  
დულობენ პურს, ქერსა და სიმინდს  
ბერმანიაში წასაღებად.

თბილისის სასულიერო სას-  
წავლებლის გამგეობა აცხადებს, რომ  
ამ სასწავლებელში მისაღები ეგზამე-  
ნები იქნება აგვისტოს 25-იდან 28-  
ამდე. არა უნდა სასწავლებლის შე-  
დამხედველს მიეცეს. არაასთან უნდა  
წარადგინონ მეტრიკის მოწმობა, ანუ

როტება. არ იფიქრონ—ემუქარით  
კალამს გავადგინებთო.

იუბიტერო, სწყარები—მაშ მართა-  
ლი არა ყოფილხარო,—ამბობს ლა-  
თინური ანდაზა, რომელსაც ჩვენში  
ასე ეკირება შეცვლა: «ხოჯავ, გულ-  
ზედ სკდები—მაშ თითონ გიგოძენია  
შენთა მოქმედებათა საშინელება.»

პა ვიციოთ, სინილისის მხილების სა-  
შინელება იგონო, თუ ხალხის და-  
ცინვის საშინელება, ერთი კი ცხადია  
ყველასთვის: «ლხინი ფარეშთა უბან-  
ში» სიმწრის ალბად გადაექცათ  
მომოხენლებს, რადგან «დროების»  
მე-140 №-ის ფელტონის შემდეგ ღუა-  
ბზული მეჩანგურებმა გამოასტყვეს და  
დღეს მთელი ბურია მღერის შემდეგს  
«მოდურ» ლექსს:

ხოჯამ მოლლას მიუტრია:  
ბესარიონ, რა გეიქნესო—  
ძალმის წვერზე აუღუციფართ  
«დროების» მეფელტონესო!

### ვურის ცხოვრებიდან

„დროების“ ქეშმარიტება და ხო-  
ჯა.—რამ განეთუა გულზე?—მუქარით  
ვერ შეგვაშინებენ.—ღუაბზული მეჩან-  
გურეთა ღექსი.—ხოჯის რისხვა მსა-  
ჯულზე და სეკრეტარზე.—გამსესხე-  
ბელ-შემნახველი აშანაგობა.—მმარ-  
თველობის დაუდგრობა.—რა არის მი-  
ზეზი.—რა ჰმართებს საზოგადოებას.—  
ჩვენი თხოვნა და დაპირება.

სოფიანს წყლისა ემინია და მასში  
ჩახედვა ხშირად მისს სიკვდილს მოას-  
წავებს; აგრეთვე სინილის-შებლაღულს  
კაცს, მეტადრე თუ იგი კერძო კაცი  
არ არის, თავის სიკვდილად მიაჩნია  
საზოგადოდ ბეჭდვითი სიტყვა და გან-  
საკუთრებით მისს ამქარზე თქმული.  
შქანასწენელს შემთხვევაში მისს «გამო-  
ფშუტურებულს» გოგონას მენი და ზა-  
რი ეცემა და ბზიკ-ამომჯდარ ჯგერით  
ვერ იქნევს წინლებს იმაზე ანუ იმათ-

ზე. ვისზედაც ექვს აიღებს მისთვის  
მომაკვდინებელ სამართლიან წერი-  
ლების ავტორობისას


სწორედ ამ გვარ ზარ მებად დაეცა  
ზოგიერთა ბნელეთის პირებს ჩვენი  
გაზეთის მე-140 № ში დაბეჭდილი  
ფელტონი ამავე სათაურით. ჯერ წა-  
კითხვა არ გაეთავებინათ მისი, რომ  
სამგლე თხასავით მოჰყვენ ბლავილს:

— «ა ვაი, ხოჯა მე ვარ, მე, მე,  
მეო!» — «ვაიმე, მოლლად მე გამო-  
ვუყვანივარ მე, მე, მეო!» «დელიბა  
შად ჩვენი მწყალობელი დაუხატავთ  
და მისი რისხვა აწ კი დაგვლუბავს  
ჩვენ, ჩვენ, ჩვენო!»

.....ამ მომაკვდინებელ პირველ  
შთაბეჭდილების შემდეგ ბრაზ-მოარეუ-  
ლი ჰოჯა მოლლათურთ შეუდგენ  
ავტორის ძებნას, რათა მასაც იგივე  
აბლაბუდას ბადე მოსდგან, რომელ-  
მაც სამიოდ პირზე უკვე გასქრა, მაგ-  
რამ ამ შემთხვევაში კი, ვაგლანად  
სახსენებელ ი. ძაფთარაძის წერილისა

არ იყოს -- დიდი ბრანწი მათს «მაღალს»  
დაბალ კეთილ-შობილებას, ვინაით-  
გან თქვენს უმორჩილესს მონას იმ  
სამს პირზე უფრო გრძელი მკლავები  
აქვს და მფარველებად ჰყავს ჯერ  
«დროება» მკითხველებითურთ, მერმე  
საზოგადოების სინილისი და ბოლოს,  
თუ ღმერთი გაწყრა და ქვეყნის ღერ-  
ძი უკულმა მოტრიალდა, — უტყუარი  
სხვა ღონე, რომელიც ძალიან ქაშაგია  
მისი, ეინც საკუთარს სიცოცხლეს  
იცავს არამზადების და ავაზაკების გუნ-  
დისაგან...

ჩვენს გულში შიში და ცხოვრე-  
ბითს ლექსიკონში სიტყვა «უკუ-და-  
ხევა» სრულიად არ მოიპოვება, მე-  
ტადრე მაშინ, როდესაც სინილისი და  
პატრონება გვიწვევს ავაზაკებთან და სა-  
ზოგადოების მტრებთან საბრძოლად.  
ღაიმედებულნი ბძანდებოდენ, რომ ჩვენ  
არ მოგვეწყონდება მათი კვალ-და-კვალ  
დღენა, ვიდრე მათ არ მოსწყინდებათ  
უსამართლობა, არამზადობა და ბო-



გამონაწერი მეტრიკის წიგნებიდან და ექიმის მოწმობა ყვავილის აქრისა.

მს არის ეხლა მოგვივიდა მეექვსე, იენისის, ნომერი პეტერბურგული ყურნალისა «იზიაშნაია ლიტერატურა» და მასში სიამოვნებით ამოვიკითხეთ ოთხი ლექსი ქართულილი მშენიერად გადათარგმნილი ბ. მხორცვესკისაგან. მითი ლექსი არის: «ორი შენობა», თ. მ. მრბელიანისა; ორი ეკუთვნის თ. მ. ბურიელს (მათ შორის ერთი პოემის «რაშიდ მარდანიძის» ნაწყვეტია) და ერთი თ. ა. წერეთელის: «არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს!»

მეორე სასიამოვნო ამბავი: გამოვიდა «ქართული ქრისტიანობა უმცროს კლასისათვის შედგენილი მიხეილ ნახიძისაგან». სასიამოვნოა ეს ამბავი იმით, რომ ჩვენს წიგნთ-საცავს მოემატა ერთი სწორედ კარგი წიგნი მეროპიულად გამოცემული. მეროპიულად გამოცემულს იმიტომ ვეძახით, რომ შემადგენელი თავის შრომას მუყაითად მოქცევია და მართლა წიგნს გვაძლევს ხელში და არა კორექტურულ შეცდომათა კრებას, რაც მეტის-მეტად ხშირია ჩვენში. წიგნში ოთხი განყოფილებაა ბავშვების განება-გახსნილობის კვალობაზედ განაწილებული და არა-ბავშვთათვისაც საამო საკითხავი. მს წიგნი უეჭველად გავრცელდება ხალხში, რადგან გამოცემა თუმცა მეროპიულია, მაგრამ ფასი სწორედ ჩვენებური აქვს (70 კაპ.). მსეთი მცირე ფასი ამოდენა წიგნისა მხოლოდ ჩვენშია შესაძლებელი, სადაც ლიტერატურული შრომა სრულიად არაფერს ფასობს და სადაც ამ უმაღლეს საქმეს კაცი მარცხენა ხელს თუ მოჰკიდებს, თორემ მარჯვენა თავის რჩენას უნდა მოანდომოს.

მართლში, სოფ. ნიქოზს, ამ დღეებში ერთი უცნაური საქმე მომხდარა. ამ სიტყვების დროს რამდენი-

მე დღის განმავლობაში სვენებულა ნიქოზის ე-იაში გვამი ქრისთის თაყვანისმცემლის ცოლისა და ზანტონი-ლობის სუნი თითქმის მთელს სოფელს მოსდებია. მიზეზი დაუმახრახობისა ის იყო თურმე, რომ მარკა-დაუკერელი არზა გამოუგზავნიათ ობილისში და არზის—მიმართვე იმდენად გონება-გამპირიანი ყოფილა, რომ სამ-აბაზიანი მარკის ყიდვის მაგივრად, არზა უკანვე გაუგზავნია, რაკი ღანიშნულს ადგილს ვერ მიუღებინებია.

შემართლად, წრეგანდელი ხოლერა გულ-კეთილი უნდა იყოს, რომ ასე მაღას ვუღვიძებთ მისთვის საამოსაყრისგან და ახლოს კი არ გვეკარება!..

სარწყავი წყლები სწორედ შფოთვის ჩამომგდებ საგნად გახდა ჩვენს საქართველოში.

ამას წინადა იყო და ამ საგნის გამო იმდენს ვაი-ვაგლანს იწერებოდნენ კახეთიდან; ეხლა არის და ღოესელების და ხოვლელების ჩხუბს გვატყობინებენ გორის მაზრიდან. ჩხუბის მიზეზი წყალი ყოფილა, რომელიც ღოესელებისათვის ხოვლელებს მოუწყვეტიათ და თავიანთ მამულებში გადუშვიათ. რადგანაც მეცადინებობს ღოესელების მხრივ, რომ კანონიერად აღედგინათ თავიანთი უფლება, ამოდ ჩაუვლია და ყურადღება არაფერს მიუქცევია, ძალით მოუწადინათ თავიანთი კუთვნილი წყლის გამოყენება. ამას ვეზღვამენებულა შფოთი და, როგორც ამბობენ, რამდენიმე კაცი არის დაჩხინილი.

შეველია, დაჩხარულნი ჩაჩუმიდებიან, რადგან მათს უფლებას ვგზეკუცია აღადგენს...

საგურამოდამ გვატყობინებენ, რომ იქ ძალიან ვახშირებულა ქურდობა და ვაზაფხულის აქეთ ორმოც სულამდე ფეხ-მსხვილი საქონელი დაკარგულა. სხვათა შორის, ამას წინადა, როდესაც წინამძღვრიანთ კარის სკო-

ბაზეთების ჩვენ გმირები, მიღრე თავანთ თაროებზე მორკმით სხედან დიდ-ყურები!...

მეჩონგურეთა ულექსოდაც ხოჯას ყოველთვის ჰქონდა დიდყურათა იმედი და ეხლაც მათ ესავს. სწორედ მეტით ვერაფრით აგვიხსნია ის ტუტუტური თავებობა, რომლის მზავსსაც მხოლოდ ტვინის გარსთა დაშლილობით სწეული თუ მოიქმედებს საქმე ის არის, რომ ამ თვის ათს, საღამოს რვა საათზე, მარად ცუდად სახსენებელი ხოჯა შეხვდა მოედანზე ერთს აღამიანს,—და პილილი-ნაქამ ძველ მოურავისამებრ უთხრა შემდეგი: —«გთხოვთ ესლავ წაბძანდეთ თქვენს მსაჯულთან და გადასცეთ, რომე შეკვადები მას გზისუდა და გბილეს დაჯამობს».

რასაკერველია, მხანანა კატას თავის დღეში თავი არ დაუქვრია და ბაქია კაცს მუქარა არ შეუტრულებია; და არც ხოჯისაგან მოელის არც

ლაში ეგზამენი ყოფილა, ეზოდამ ეილასაც ტუსიშვილის შეკმაზული ცენი წაუყვანია. ღუშეთიდან მხოლოდ ორი კვირის შემდეგ მოსულა მონელი ამ ქურდობის აღმოსაჩენად...

ღუშეთიდან გვატყობინებენ, რომ ამ თვის რ.ს. ღამის ორს საათზედ, როდესაც მომრიგებელ მოსამართლეს სძინებია, მიზნობიან და იმის საწოლის ფანჯრები ქვით ჩაუშტყრევიათ. მოსამართლე გადარჩენილა.

პარასკევს, ივლისის 19-ს, კიდე გაჩენილა ცეცხლი მუთაისში ძლექსანდრეს ქუჩაზე. დამწვარა ერთი ქვის სახლი, რომელიც დაზღვეული ყოფილა. ამ სახლს სამჯერ გაუჩნდა ცეცხლი. მრჯერ აღრე შეიტყვეს და დაწვა არ მოხერხდა, მესამე-კი გაღიწვა. ბედი რომ ცეცხლი აღრე იყო, ღამის 11 საათზე, და დიდი ხალხი დაეხმარა, თორემ, გვიან რომ ყოფილიყო, ეს ცეცხლი ბევრს შენობებს იმსხვერპლიდა, თურმე.

გაზეთს «ყარსში» სწერენ: «ქაი-რამის ამბებმა დიდიხის სეობაში ყარსამდისაც მოაღწიეს. აქამდის უშიშარი გზა ესლავ ამ ყარსის თავ-გასულაობის წყალობით დღითაც კი თითქმის გაუგებელი შეიქმნა. საკვირველია, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ აქამდის ვერ დაიჭირა ეს ყარსი, თუმცა ამასე ადგილი (?) არა არის-რა. ყარსის მაზრაში რამდენიმე პირია, რომელნიც უწინ თავსედა შელ-ადებული ყარსები იყვნენ და ესლავ კი ზოგი იურკარა, ზოგი პრამოშიკი და მშვიდობიანად სტეპრობუნ. ამ პირებისაგან რომ გამანდა შედგინათ, ორ-გვარსედა ქაიარამას ან მკვდარს წარმოადგენდენ ან ცოცხლად (?)...»

სოფელს ქვემო-ნიქოზში გაჩენილა ერთიანი საქონლას ავაღმეოფობა, რომელსაც იქაურები «ხუზარას» ეძახიან. ამ ავაღმეოფობას ჯერ-ჯერობით რვაოდე ხეო უმსხვერპლია. ნიშნები შემდეგია: საქონელს ბაღანს ეძლევა, საჭმელს-სას-

თვით მსაჯული და არც ვინმე სხვა აღსრულებას მისი ფაფხურისას, რომელსაც სარჩულად უღევს დედაბრული სიმბთლე: «მენი... მინდა, მაგრამ რადგანც შედეგისა მეშინია— ვინ იცის, სასტიკად ხომ მაინც დაეისჯები,—ამიტომაც მოედანზე ვყვირი ჩემი გულის საწადელს, რომ გამანთავისუფლო შენთან შეხვედრისაგან და მით თავალებით მათქმევინო—რა ვქნა, რომ არ შემხვდარა!...» მხოლოდ ამისთანა სიტყვების თქმა აქვს საგნად, მეტი არაფერი ჩვენი ხოჯის ფაფხურს...

შედეგი უმიზეზოდ არასოდეს არ მომხდარა, და ამ ხოჯის ფაფხურსაც აქვს თავისი მიზეზი, რომლის უსაფუძვლობის მოსმენით ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დაეაღებინან. წარმოიდგინეთ, რამდენად შემოწყრომიან პოლიხი მისდამი მოლოცველი ხოჯის გოგრას, რომლის ტვინსაც აფიქრებინა, რომ «ღროების» მე 140 წლ-ში დაბეჭდილი ფელტონი შეთხ-

მელს და ცოცხას თავს ახვეწის, ნაკლები უწითლდება, რომელსაც სხვა სხვა ლისა უსიკვება და ერთის დღის ავაღმეოფობით კვდება.

ამავე სოფელში «წითლავ» გაჩენილა. ბუკრი ბავშვების თურმე ავაღ. ერთი კიდეკაც მომკვდარა.

აი ოფიციალურად გამოცხადებული ცნობები ფილოქსერის პარტიების შემოაბის შესახებ:

სუსუმის პარტიას ივლისის დადგეს ნავითი მოუწამდავს ის ადგილი, სადაც ამას წინადა 31 ვაზსედა, სუსუმის ასლო, ფილოქსერა იზოკეს; მასუგან ამავე პარტიას გაუსინჯავს გარეული ვაზები ამ ადგილის ასლო და 50 საყენის სიშორესედა 63 ვაზი უშავია ფილოქსერისაგან დაწინებუელი, რომელთა მოსაწყობად 139 ფუთა ნავითი დაუსარჯავს. შემდეგ სუსუმის ასლოვე რვა კენახი გაუსინჯავს და ფილოქსერა არ აღმოჩენილა.

დადესტნის პარტიას ამავე თვეში გაუსინჯავს ათი კენახი დაარუხანდის ასლო და ფილოქსერა არ აღმოჩენილა.

თბილისის პარტიას ივლისის 3-დამ 14-მდე გაუსინჯავს კენახები პატარკულში 59 კენახი, ხაშში 14 კენ., ყარსბუჯანში 4 კენ., საცხენისში 1 კენ., ასალ-სოფელში 3 კენ., ჩარტკოფში 14 კენ., ნორიში 26 კენ., დიდ-ფილოში 3 კენ., ლოჭინში 1 კენ. და მუსრავანში 4 ბალი. ასლად ფილოქსერა არ აღმოჩენილა.


მეოთხე პარტიასაც, რომელიც მუშაობდა ექსპანისის მაზრაში, ფილოქსერა არსად უნახავს.

თუ რა ჯოჯოხეთის საცხე უნდა აიტანონ სალდათებმა მერ-კასპიის მხარეში, ამას ამტკიცებს ერთის რუსულის გაზეთისაგან მოგვანილი ცნობები: ასსაბადიდან მერვამდე სალდათები 14 დღეს უნდებან და იენისში, როდესაც ერთ პარტიას უმოგზაურნის ამ გზით, სიცხე ყოფილა 52 გრადუსამდე მსეზე და ჩრდილში 25-31 გრადუსზე არა ნაკლები. მაგრამ ეს კიდეკაც უშუალოდ სი-

ზულია მომრიგებელი მსაჯულისაგან და თარგმნილი და «ღროებაში» დასაბეჭდად გავზენილი ამავე სასა-ჯულოს მოხელისაგანა!

დიდება შენდა ღმერთო! სად მე, იმ ფელტონის ნამდვილი, ავტორი და სად ჩვენი მომრიგებელი მსაჯული და სეკრეტარი! ხოჯავ და მოლოდე, ხოჯის მდივანბეგო, ნება მომეციოთ გკითხოთ: სად თველე და სად მრეკლე?! მაგრამ მეც მომიტოლო ერთი, ვის ვეკითხები!

ღიად, იმას მოგახსენებდით, რომ ხოჯამ ჩვენი ვაზეთის თანამშრომლობა დასწყამ მომრიგებელ-მოსამართლეს და მის სეკრეტარს და ამ ყოველად უსაფუძვლო და სასაცილო დაწამების შედეგი გახლავს ის ყოველად საძაგელი მუქარა და ფაფხური, რომელზედაც ზემოდ გემუსაიფებოდით, საარაკო ნამდვილ ამბებს დაჩეულო, ჩემო ქართველო მკითხველო...



სქდ არ ჩაითვლება, რადგან ივნისის დამ-  
ლეკს და ივლის-აგვისტოში კიდევ უფ-  
როს მატულობს იგი...

მედიკოსი სწერს გავ. „ნოვო-  
რუსკის“ რომ ივლისის 10-ს  
კრის სამეცს, რომლის გარეგანილობა და  
სასაზღვრო ქვეყანა მთელმა ქალაქმა იცო-  
და, სასიკვდილოდ დაუჭირა თავისი  
ცოლი და დედა და თავის ძმების დახრ-  
ვა სდამიბა. ხალხს მოუწოდებია ბო-  
როტო-მოქმედების შედეგ ამ ზავისა  
ნაკურნალებად დაგლეჯა, მაგრამ ჰოლი-  
ციას ნება არ მიუცია და ცხენში წაუყუ-  
ნია.

მარტოაფადამ სწერს გავ. „კა-  
კას“, რომ იქ წითელა გავიდა.

მთხმე-და-სამა (!) წელიწადია,  
რაც თთ. მუსრან-ბატონებისა და სუმბა-  
თაშვილებს შორის დავა სწარმოებს ი-  
ვლისის 20 თბილისის ოლქის სასამართ-  
ლოში მოსმენილ იქნა მედიკოსთა გა-  
დაწყობილება, რომლის ძალითაც ეს  
„მოხტეკები და კაპულები“ სრულად  
სწავლეს ერთმანეთში დაგი-დაწყებას.

კავკასიის მთავარ-მმართველმა  
მიმართა ქალაქით ფინანსთა მინისტრს  
იმის საკითხად, უნდა დაეკრას დეპუტის  
მარჯა თუ არა იმ ქალაქებს, რომელთაც  
მთხმელები აძლევენ მთავარ-მმართველს,  
ან სწავლა-განათლების მსრუტეებს ბე-  
შეების მაღლაზედ სასწავლებელში, სტა-  
ჰენდიების დანიშნავაზე და მოსწავლეთა  
სხვა საჭიროებაზედ. ფინანსთა მინისტრ-  
მა განმარტა წერილით, რომ ამ გვარი  
არსები განთავსებულნი უნდა იქნენ  
დეპუტის მარჯისაგან, იმის განუწყობად,  
თუ რომელ დაქვეყნებაში იქნებიან  
მიტეხულნი, ოდესღაც მათი შინაარსი  
შეკვებოდეს მოსწავლეთა საჭიროება-  
სა.

### უცხოეთი

ამ ქამად მედიკოსი ტახტზედ ქე-  
დივალა ჰვის ტეფიქ-ფაშა და იმისი

ნათქვამია «მითხარი ვის იცნობ და  
მამინ გეტყვი ვინ ხარ შენ» თანახ-  
მად ამ ქვეყნის ტექნოლოგისა, კა-  
ცი, ჩემის აზრით, იმდენად უნდა იყოს  
პატივსაცემი, რამდენადაც ის პირი,  
რომელსაც თვითონ იგი სცემს პა-  
ტივს. მამასადამე საუკუნოდ ანდრძ-  
ანაგებად უნდა ჩაითვალოს ის ხუთი-  
ოდე ვაჟ-ბატონი, რომელნიც და-  
ესწრნენ ტახტზედ დერეფის გა-  
მოსათხოვარს სადილს, ანუ, რო-  
გორც საზოგადოების გონიერი ნაწი-  
ლი ამბობს—აღას ტახტზედ დერე-  
ფისი გახლდათ ხოჯის მდივან-ბე-  
გი, უგვანი უფროსი წყლის-პირის  
მედრესისა, ფანატურად მღვინელი  
მართლ-მადიდებელი ხალხის ენის, ის-  
ტორიის, ზნე-ჩვეულების და ყოველ-  
გვარ სამართლიან ინტერესებისა; ენა-  
მკირდავი და ხრიკ-მეისტერი, რომე-  
ლიც მუდამ ტრამპონობდა ტრაპიზო-  
ნის საღრანზამის პროტექციით, და ამ  
გამოგონების წყალობით დამსახურე-  
ბული საყვედურისა და და გადაყენე-

მამა—იზმაილ-ფაშა კი, რომელსაც  
ქედივობა წინადა ჰქონდა და ევრო-  
პის სახელმწიფოთაგან გადაყენებულ-  
იქნა უზრუნველობისათვის, სხვა-და-  
სხვა ქალაქებში ქედივობს თავის პა-  
რამხანით გარე შემორტყმული. რასა-  
კვირველია, ეს გადას-გადმოსხმა  
ქედივებისა უფრო ინგლისის მეოხე-  
ბით მოხდა, მაგრამ ინგლისს არც  
ცხლანდელი ქედივი გამოადგა და  
კვალად აპირობს ისევ ძველი ქედი-  
ვის მონახვას, რადგან ცხლანდელს  
ჩუმ-ჩუმად მოქმედებასა სწამებენ ინ-  
გლისის წინააღმდეგ. ამბობენ დრუ-  
მონდ ვოლფი იმიტომ გაიგზავნა  
მედიკოსი, რომ ტეფიქის უგულ-წრფე-  
ლობა გამოაშკარავოს და ქედივის  
ტახტი იზმაილ-ფაშისათვის დასცლი-  
ნოსო.

თუმცა მსპანიის კოროლმა ღონ-  
ალფონსმა ჰუმბერტის მიბაძვით და  
ხლოერიანი ადგილების დახედვით,  
თანაგრძობა დაიმსახურა თავის ხალ-  
ხისა, მაგრამ ეს თანაგრძობა საერ-  
თო არა ყოფილა. მსპანიაში ხმა  
გაუფრცხვლებიათ, რომ ალფონსს სურს  
კონსტიტუციის გაუქმება და თავის  
თავის იმპერატორად გამოცხადებაო.  
ეს ხმა თუმცა დაუგერებელია, მაგ-  
რამ უმაკოფილებას მანც ავრცე-  
ლებს ხალხში. მსპანიაში მონარქიის  
წინააღმდეგი პარტია საკმაოდ ძლიე-  
რია და ამისთანა ამბები, რასაკვირ-  
ველია, ცეცხლზედ ზეთს ასხმენ. ტახ-  
ტის მომხრენიც, თავიანთ მხრივ, ძა-  
ლიან ფთხილობენ და მოწინააღმდე-  
გეთა დაქვრით ჰყრილობენ ჯავრსა.  
რესპუბლიკის გამო თავ-გამოდებისა-  
თვის დაეჭრილთა შორის არის თურ-  
მე ცნობილი რევოლუციონერი პოლ-  
კოენიკი მაგალანი.

შოველ წელს, ივლისის 14-ს,  
საფრანგეთი დიდის ამბით დღესას-  
წაულობს. ეს არის დღე ბასტილის  
ციხის აღებისა საფრანგეთის რევო-  
ლუციის დროს, ე. ი. იმ ციხისა,

ბის ნაცვლად ლიმოლსიღებდა სუსტ-  
ხასიათიანის შხამერიონელი მუფტისა-  
გან...

ამის შემდეგ გკითხავთ და მითხა-  
რით რა უნდა უწოდოთ იმ ადამიანთ,  
რომელთაც თავი მართლ-მადიდებელ  
ქრისტიანებად მოაქვთ და იმავე დროს  
ხელს აძლევენ და სადილზე ესწრე-  
ბიან ზემო-აღწერილისთანა ტახტზე-  
დ დერეფის, დაუძინებელ მტერს  
ყველაფრისას, რაცა შეადგენს მართლ-  
მადიდებელთა წმიდათა-წმიდას! აქუ-  
რი საზოგადოების უკეთესმა ნაწილმა  
კიდევ მონათლა ისინი სწორედ მათ-  
თვის ზედ-გამოქრილი, შესაფერი სა-  
ხელით, რომელსაც აქ აღარ მოვიყ-  
ვანთ, რადგანაც არ გვსურს მეტის-  
მეტს მკვანე სიტყვას ვაღიროთ გავ-  
თის სვეტები...

\* \*

ამ თვის პირველ რიცხვებში აქ უნ-  
და მომხდარიყო ზოგადი კრება მსურ-  
ვეთის გამსესხებელ-შემნახველი ამხა-

რომელთაც შეკავშირებული იყო  
ძველი მონარქიის სიტყვა და საქმე.  
ზანთებში იწერებინან, რომ წლები-  
დღეს წელს ეს დღესასწაული სხვა  
წლებზედ თუ უკეთესი არა, ნაკლები  
ბი არ იყო. რასაკვირველია, ყველა-  
ზედ მეტად პარიკი მხიარულობს და  
მხიარულობს შინ კი არა, ქუჩაში,  
სადაც ღამე ურდავი ფარნები, ჩირაღ-  
დნები, შუშუნები ქუჩებს ანათებენ  
და ამ სინათლეზედ მთელი ხალხი  
დიდით-პატარამდე თითქმის განთი-  
ადმდის უზომო მხიარულებას ეძლევა.

შესანიშნავი ის არის, თურმე, რომ  
ახლგაზღობა თანდათან უფრო მეტს  
მონაწილეობას იღებს ამ საერო დღე-  
სასწაულში. წრეთებს ეს მონაწი-  
ლეობა ბავშვებს ორნაირად მიუღიათ:  
ჯერ იმით, რომ სკოლის ბატალიონ-  
ებს, ე. ი. ბატალიონებს სკოლის  
მოწაფეთაგან შემდგარ, ცერემონიით  
გაუვლიათ მინისტრების წინაშე და  
ხალხი ამ «მხედრობას» აღტაცებით  
მიჰყვებიან, და მერე კიდევ იმით,  
რომ ამ დღეს დაურიგებით ჯილ-  
დობები საუკეთესო შეგირდებისათვის  
და ეს საუკეთესონი თვით შეგირდებს  
დაუსახელებიათ.

მრთს ორატორს ამ შემთხვევის  
გამო შემდეგი აღტაცებული სიტყვებ-  
ი უთქვამს ბავშვებისთვის:

«თქვენ თვითონ იმ მიუფერებლო-  
ბით და სინაღისიანობით, რაცა ბავ-  
შვების კუთვნილებას შეადგენს, მი-  
გვითითეთ იმაზედ, რომელთაც ყვე-  
ლაზედ უფრო ღირსადა სთვლით. თქვენ  
თქვენს ნორჩი სინიღისის  
სრული თავისუფლებით, ხმა მიეცით  
და მოიქმედეთ ამორჩევა იმავე წეს-  
ზედ, რა წესსაც იხმართ თქვენ, რამ-  
დენიმე წლის უკან, როდესაც და-  
ვაჟკაცებულნი ჩააბარებთ თქვენის  
მამულის ბედ-იღბალს თქვენს წარ-  
მამადგენელთ.»

მერე მიუბრუნდა ქალებს და უთ-  
ხრა:

«თქვენც ქალებო, ვაყების მზგა-  
სად ამორჩევა მოახდინეთ. ეს ამო-  
-

ნაგობისა, მაგრამ არავითარი კრება  
არ ყოფილა. როგორც ვაყივთ, მი-  
ზეზი იყო მმართველობა ამხანაგობისა,  
რომლის დაუდევრობისა და გულ-  
გრილობის წყალობით ჯერ სათანა-  
დო ანგარიშიც არ ყოფილა შემდგა-  
რი. სწორედ სამწუხაროა, რომ იმის-  
თანა კუთხეში, სადაც მოკლე-ვადიან  
კრედიტს ასე ძლიერ საჭიროებს სა-  
ზოგადოება, დუნედ მიდის შემოსე-  
ნებული ამხანაგობის საქმე მხოლოდ  
იმის წყალობით, რომ მისს მმართვე-  
ლობის წვერებად იმისთანა პირნი  
აურჩევიათ, რომელთაც ერთი წამი  
მოკალეობა არა აქვთ თავიანთი სა-  
ხელმწიფო სამსახურის პირ-და-პირი  
მოვალეობის გამო. ღრთა საზოგა-  
დოება უფრო გულ-დადებით მოეკი-  
დოს ამ ამხანაგობის ბედს, რომლის  
აეად თუ კარგად წაყვანას შესამჩნევი  
გავლენა ექნება მისს ყოველ-დღიურ  
საჭიროებაზე; დროა, მოუცლელი  
წვერების ნაცვლად ამორჩიოს უფრო  
მოკლიონი, მკოდნე და პატიოსანი

ჩევა თითქმის პრაქტიკული გარდაწ-  
ყვეტა იმ საგნისა, რომელიც მესსა-  
მეტად ძნელი გამოადგა პოლიტიკოსე-  
ბისათვის იმ საგნისა, რომელიც შეე-  
ხება ქალებისადმი ხმის უფლების მი-  
ცემას.»

ეს სიტყვები ხალხს დიდის ტაშის  
კვრით მიუღია.

პარიკში გამოუცხადებიათ წერილი  
საფრანგეთის უწინდელის ელჩისა  
ტუნისში, ბილინგისა, რომელიც, თუ  
მართალია, დიდს ნათელს მოჰქვენს  
სუდანის ომის ამბებს. ბილინგი იწე-  
რება, რომ პარიკში, ლონდონში და  
ბერლინში მაჰდის ბევრი აგენტები  
ჰყავდა, რომელნიც ინგლისის მთავ-  
რობის განზრახულებას ყოველივეს  
ატყობინებდნო. მრთს ამ აგენტთაგანს  
უთხოვია ლორდის გრენვილისათვის  
მილიონ-ნახევარი ფრანკი შორდონის  
გამოსახსნელად, მაგრამ ბრენვილი  
არ დათანხმებულა.

«Daily News»-ის პეტერბურგელი  
კორესპონდენტი ამბობს შემდეგს ში-  
რის ჯარის განაწილებაზედ: ჰერათში  
და შორიანის გზაზედ 10000-მდე კა-  
ციაო; ზულფიგარის გარშემო 11000  
კაცი, ძლიერის არტილერიითურთ;  
მაიმენში 6000 კაცი; ანჯუში 8000  
კაცი; შუნდუზში 5000 კაცი და და-  
ნარჩენი ჯარი შაბულში და შანდა-  
პარში დგას.

ზანზიბარისა და ბერმანის შო-  
რის ატეხილი უსიამოვნობა თითქო  
ცხრება. ზანზიბარის სულთანს ინ-  
გლისის იმედი ჰქონდა და იმიტომ  
დაესხა თავს ნემეცებისაგან დაქვრილ  
ქვეყანას; მაგრამ ცხლა ინგლისი ისე  
ეფერება ბერმანისა, რომ ვილაც ზან-  
ზიბარის სულთანისათვის არ შემოი-  
წყრომებს მას და ამიტომ იმედი აქვთ  
საქმე მშვიდობიანად გათავდეს.

ჯერ კიდევ არ დამცხრალა ის  
აღლევება, რომელიც Pall-Mall-Ga-  
zette-ის წერილებმა გამოიწვიეს. ამ

პირნი, თუ არა სურს, რომ როგორც  
სხვა გამსესხებელ-შემნახველ საზოგა-  
დოებებმა, ისე ამანაც ჩაილულოს  
წყალი დალიოს...

ამ ხელად კი მიემართავთ მმართველობის  
წვერებს და უმორჩილესად  
ესთხოვთ რაც შეიძლება დაჩქარონ  
მეტის მეტად დაგვიანებული ანგარი-  
შის შედგენა და მორიგი წლიური  
კრების მოხდენა. ჩვენი მხრით კი პა-  
ტიოსანს სიტყვას ვაძლევეთ, რომ მათ-  
დამი მოსაუფლოდ ჩაბარებულ ამხა-  
ნაგობის ინტერესებისადმი გულ-გრი-  
ლობის ჯილდოდ მათ მიეცემთ საუ-  
კუნოდ განმათავისუფლებელ «ბაშ-  
ფორთს» და თავის დღეში აღარ  
ესთხოვთ დღემდის ნაკისრი მოვალე-  
ობის ხელ-ახლავ ტვირთვას... მისაც  
აქვთ ყურნი სმენად, ისმინონ!..

სხვა ამბები შემდეგისათვის.

წ. გულმსუქიქაქი.



# კომერციული კურსები

ორივე სქესის ჰორთათვის.

წელიწადი იქონიეს

კურსებს საგნად აქვთ მისცენ სპეციალური კომერციული განათლება ორივე სქესის ჰორთ და ასწავლონ პრაქტიკული ანგარიში.

1885—86 წელს ასწავლიან შემდეგს საგნებს: 1) კომერციული ეკონომია, 2) კომერციული არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (უბრლო, ორკეტი და სახანკო), 4) არითმეტიკა სახანკოში ჩათქვად, 5) კომერციული მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამაშო წესდებანი, 7) სუეთად და საჩქაროდ წერა, მსურველთათვის ფრანკულური ენა.

სწავლა დაიწყება სექტემბრის 15-დამ, ახალი მოწაფენი მიიღებიან აგვისტოს 25-დამ ყოველ-დღე საღამოს 5—8 საათამდის, კურსების სადგურში, რომელიც იმყოფება სოლოლაქზე, ლაბარატორიის ქუჩაზე ივანე ჯორჯაძის სახლში № 11. პროგრამები და წესდებანი უფასოდ ეძლევათ წოდებულთა ბანკის კანტორაში, სიონის ქუჩაზე და ტერ-სარქისიანის საკანცელარია ნივთების მაღაზიაში, სახანლოს ქუჩაზე. ძალაქ გარეშე მცხოვრებთ ვთხოვეთ მიმართონ წერილით კურსების დამაარსებელს ს. მანუილიანს. (8—1)

საქმისათვის დანიშნული კომისია, შემდგარი უმაღლეს პირთაგან, დაწერილობით იკვლევს გაზეთისაგან წარდგენილს დოკუმენტებს. თეითონ გაზეთი ამბობს: ყოველდღე თანაგრძობის წერილები მოგვდის ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი მხილების გამო. სამი მთარგმნელი ერთმანეთს ეცილებიან, რომ ეს წერილები ფრანკულურად გადათარგმნონ. შეერთებულ შტატებში ჩვენი წერილები ინგლისზე კიდევ მეტად გავრცელდნენ. ეს წერილები ეხლა ხანს ცალკე წიგნად გამოვიდა ლონდონში და აქამდის 400,000 ეგზემპლარი კიდევ გაიყიდა.

## ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“ იელისის 21-ს.

პეტერბურგი. უმაღლესად დამტკიცდა მოსხენება უუწმ. სინოდისა, რომლის ძალითაც გაგვავის საარქიველო კათედრაზედ ანიშნება მეორე გიკარია საქართველოს საქსარხოსი, ეპისკოპოსი იოსებ.

გამოცხადებულია ფინანსთა მინისტრისგან, შინაურ საქმეთა მინისტრის თანხმობით, დადგენილი საშუალება, თუ როგორ უნდა შემოღებულ იქნას უმაღლესად დამტკიცებული მისის 14-ს ახალი წესები მაგარი სასტუმროების წვრილ-წვრილად გაუადგაზედ.

„Journal de St-Petersbourg“-ი რაცხს საღმრთაურის სატყვას ღორძეშრის ნადიშედ იმის დასამტკიცებელ საბუთად, რომ საღმრთაურის ესე უფრო ცხადი წარმოდგენა აქვს ევროპის მომართულებას, რუსეთის პოლიტიკაზედ და ინგლისის ნამდევალს ინტერესებზედ. საღმრთაურის სურვილი, რომ ინგლისი მიეკედლოს რუსეთისაგან შეგრულს კავშირებს, ამტკიცებს აგრეთვე, რომ თუ ღონდონში ქქონდათ განზრახვა ეს კავშირები დაერღვიათ, ესეა ეს განზრახვა დატოვებულია და იქ უფრო მარჯვედ მიახნათ შეუერთდნენ მოკავშირეთ და თავიანთ პროგრამა მათს მშვიდობიანობისა და თანხმობის პროგრამას დაუხლოვონ.

იელისის 22-ს.

პეტერბურგი. დღეს გაზეთს „Standard“-ში დაბეჭდილი ამბავი რუსებისა და ავღანელების შეტაკებაზედ, ტყუილია.

ნიშნი-ნოვოროსი. აგრძელებს ხალხი მძიმედ იკრიბება. ეგელანი უჩავიან პატარა-წილებას და ამის გამო საქონლის დაგვიანებას გზაზედ.

პირნი. წუხელის ძღაური და ხანგრძლივი მიწის-შვრა იყო, რომელიც ვერინდამ ყოველ-მხრავ გავრცელდა; სუკულუკში, ბელაოვსკში და სხვაგან სახლები დაიქცა. 54 კაცი მოკვდა და 64 კაცი დაიხსა.

ძირნი ბერბერდამ და კარაქოვდამ მოსული არაბები ამბობენ, რომ ოსმან-დიგმა მოკვდა.

პარიში. როგორც ისმის, მარსელში რამდენიმე კაცი მოკვდა წილების ანთებისაგან, რომელიც ხოლმე სხვაგვარად.

ბრისტი. რადგან მარსელში ხალხი გარდა, აქაურმა წილის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ საფრანგეთის ნავთსადგურებში შემღვთა-შუა წილებზედ და აღვირდამ მოტანილი საქონელი ათ—დღეს წილებზედგეგვლობს ქვეშ დაჩქეს ხოლმე.

იელისის 23-ს.

პეტერბურგი. გუშინ, ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა შემკვიდრე გესარევიის, დიდის მთავრებისა და დიდის ამალთურთ ფინლიანდიაში წაბანდნენ.

უუწმ. სინოდის ობერ-პროკურორი პეტერბურგში დაბრუნდა.

ბელგრადი. რუინიის მიტროპოლიტი სცნა ბელგრადის არქივისკოპოსი ფეოდოსი თვით-მყოფ სერბიის ეკლესიის თავად და აცნობა აგრეთვე, რომ მსოფლიო პატრიარქმა რუინიის ეკლესიაც თვით-მყოფად სცნა.

ლონდონი. საზოგადოებათა პლაცს სამხედრო მინისტრმა აცნობა, რომ აზრად აღარა გვაქვს რუინის გზა ბერბერდამდე გავიყვანოთ და გვიანდა სუაკიმის გარნიზონი გამოვცვალოთ.

სიმლა. მალაზარაკებმა იმსჯედ, რამე ყოველს ბატალიონს ადგილობრივი ანდოეთის არმიისას ორ-ორი რატა მიუმატონ და ყოველ კავალერიის პოლკს თითო ესკადრონი. ამბობენ ამ ზომას არაფერი გავშირა არა აქვს ინგლისისა და რუსეთის შორის მომხდარ უთანხმოებასთანა.

## განცხადებანი

ისუიღვა

ახალი სასელმძღვანელო წიგნი

ქართული

## ქრისტომათია

უმცროს კლასებისთვის.

შედგენილი მიხეილ ნახიძისაგან.

ფანი თოთხეპტი შაური.

შინაარსი: ა) პატარ-პატარა წერილები, ლექსები და იგავები, ბ) ზღაპრები, გ) საქართველოს ცხოვრებში დამ ბუნებრივად (ჩვეული ადგილები ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწერებში), დ) საქართველოს ისტორიად.

წიგნი ისუიღება თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ძალაქ გარედამ ვინც ერთს ეკვმპლიარს დაიბარებს, გასაგზავნი ორი შაური უნდა დაუმატოს. მინც დაიბარებს არა ნაკლებ 10-სა, მას წიგნი დაემოძა ცამეტ შაურად, ხოლო გაგზავნის ხარჯი კი მისი იქნება (25—1)

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახალად დაიბეჭდა და ისუიღვა „დროების“ რედაქციაში

# ვასუშტი

## საქართველოს ისტორია

ბანმარტებული და შეესებული ახლად შედგენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

ლიმ. ზ. ბაძრაძის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქართით.

შედგენილი და დასტული ქვასედ ნ. ა. წილისსიასი, და ამოჭრილი გ. ტავიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

მ. ჭილაძეების წიგნის მაღაზია

## ქუთაისში.

ისუიღება: ყოველ-გვარი ქართული და რუსული წიგნები, რომელნიც სასელმძღვანელოდ არიან მიღებული ეგელ სასწავლებლებში.

წიგნები: საბავშვო, სამეცნიერო, იურიდიული და ბელეტრისტიული.

სამწერლო (კანცელიარული) მოწოდებებისა და სხვა სასწავლო ნივთები: ქაღალდი, კალამი, კარხანდამი, რუკულები სხვა და სხვა წერისათვის.

## ყოველივე ქლიერ იაფად.

ვისთხოვთ ბ. ბ. შედამხედველთ და მასწავლებელთ ჩვენის მხრის სასწავლებელთა დროით გვაცნობონ—რა და რა სასელმძღვანელონი იქნებიან საჭირონი მომავალ სასწავლო წლისათვის, რომ დროითვე შეუდგეთ იმ სასელმძღვანელოთა დაბარებას.

(50—7)